

























# "ლოკომოტივის" დინამიკური გამარჯვება

მოხარული ახალგვეთი

ფეხბურთში საქართველოს ჩემ-  
პიონატის მეორე წევ, ბოლო ტურნ-  
ებში ჩამოყალიბებული ტრადიციის  
შესაბამისად, სატურნირო ცხრილ-  
ის სათავეში თბილისის "დინამოსა"  
და ქუთაისის "ტორპედოს" როქით  
აღინიშნა. პირველ საფეხურზე დამ-  
კვიდრდა თბილისის "დინამო", რო-  
მელმაც მნერი გასვლით მატჩი  
მოიგო ბოლნისში, ხოლო "ტორპედ-  
ომ" ერთი საფეხურით ჩაინაცვლა  
და ამაშიც დინამოებებმა, უფრო  
ზუსტად, ექსდინამოებებმა ითამა-  
შეს გადამწყვეტი როლი.

გუშინ მთელ ევროპაში მხოლოდ საქართველო აღმოჩნდა გამონაკლისი იმ თვალსაზრისით, რომ ეროვნული ჩემპიონატის ტური ჩატარდა. ევროპის დანარჩენი ქვეყნები კი ისვენებენ და მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების სთვის ემზადებიან. ძნელი სატემპელია, ამ ტურმა ხელი შეუშალა თუ არა საქართველოს ნაკრებს მომავალი შესარჩევი თამაშისთვის მზადებაში, რომელსაც ჩვენი გუნდი 13 ოქტომბერს უკრაინაში, მასპინძელთა ნაკრებთან გამართავს. ყოველ შემთხვევაში, დახმარებით ნამდვილად ვერ დაეხმარებოდა. მოგეხსენებათ, ხვალ უკრაინა საბერძნეთის ნაკრებს მასპინძლობს. შესაბამისად, საქართველოს ნაკრებთან მატჩამდე მშვენიერ სპარინგ-თამაშს გამართავს და გაივარჯიშებს. სსენებული ტური რომ არ გამართულიყო, თავისუფლად შეიძლებოდა, შემდგარიყო საქართველოს კლუბების ნაკრები, რომელთან ამხანაგურად გაჯიშრება სასარგებლო იქნებოდა ჩვენი ქეყენის პირველი გუნდისთვის და უირესიც მისთვის საჭირო, სასარგებლო ინფორმაცია მიიღებდა. თუმცა, თავი დავანებოთ ნაკრებს და იმედი დავიტოვოთ, რომ მომავალში მაინც პროფესიული საფეხბურთო ლიგა ეროვნული ჩემპიონატის კალენდრის შედგენისას ნაკრები



ଫୋନାମିଳିଗୁରି  
ମାତ୍ରିକ  
“ସ୍ମୃତିମନ୍ତ୍ରିବିଦୀ  
ଫୋନାମିଳିଗୁରି  
ଗମାର୍କିତ୍ତେବିଦ  
ଧାରାଲୁହାନ୍ତିରା.

მარტინის პირველი ტურის  
გუბდის იხტერესებს ყველაზე ძალა დააყენებს.

ბული სტურუა, არაბედ ხებისძიე-  
რი მექარე უძლური იქნებოდა.  
მთელი მატჩის განმავლობაში  
ზაურ სვანაძის გუნდის უპირატე-  
სობა აშკარა იყო. "ლოკომოტივს"  
კიდევ რამდენჯერმე შეეძლო გო-  
ლის გატანა, მაგრამ ხსენებული  
ეპიზოდის გარდა, სტურუამ ყვე-  
ლა სხვა შემთხვევაში დამაჯერებ-  
ლად ითამაშა და თბილისელებს  
მეტი გოლის გატანის საშუალება  
არ მისცა. თავის მხრივ, ქუთაისე-  
ლებიც ბევრს ცდილობდნენ, გან-  
საკუთრებით მატჩის ბოლო წუთე-  
ბში, მაგრამ ერთი, მეტ-ნაკლებად  
სახიფათო ეპიზოდის გარდა, გვა-  
რამაძის კართან საფრთხის მაგვა-  
რიც კი ვერაფერი შექმნეს. იმ ეპი-

შოდგიც ბოლევაძის დარტყმის  
შემდეგ ბურთი ჯერ ლოკომოტივ-  
ელ მცველს მოხვდა, შემდეგ ერთ-  
ერთ ტორპედოელს და ორმაგი ას-  
ხლეტის შემდეგ კინალამ კარის ბა-  
დეში ამოყო თავი, მაგრამ ფორ-  
ტუნა რეინიგზელთა მხარეს აღ-  
მოჩნდა და ბურთი ოდნავ აცდა  
ძელს. მოპოვებული გამარჯვების  
წყალობით "ლოკომოტივმა" 19  
ქულა დაგროვა. მართალია, სვა-  
ნაძის გუნდი ამჟამად სატურნიო  
ცხრილის მე-5 პოზიციაზეა, მაგრ-  
ამ ლიდერს, დინამოს", სულ 4 ქუ-  
ლით ჩამორჩება და მისი მზარდი  
პოტენციალის, ასევე შემადგენ-  
ლობის გათვალისწინებით, დანამ-  
დვილებით შეიძლება ითქვას, რომ

# ნაციონალური 10+1 ფასენიტაციური მზადებას გენდერ

କାମ ମୋହରୀଙ୍କ ଶିଳ୍ପିତଥିଲା ଏହାରେ ଆଜେଠିଲା-ପଦ୍ଧତିରେ

ნის წინააღმდეგ მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მესამე საკვალიფიკაციო მატჩისთვის მზადებას შეუდგა. მართალია, ჯერ მხოლოდ 11 კაცით, მაგრამ დანარჩენა ფეხბურთელები გუნდს ხვალ შეუერთდებიან და ნაკრებიც სრული შემადგენლობით შეუდგება საქმეს.

"ჯერჯერობით ნაკრები 10+1

თაგან გუნდს ლრმაია და მუავანაძე აკლია. დანარჩენები კი საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბების წევრები არიან, რომელთაც გუშინ თამაშები ჰქონდათ და ნაკრებში მათი დაგვიანებაც ამის ბრალია. სხვათა შორის, ყირესი და მისი თანაშემწე გურული გუშინ "ლოკომოტივი"- "ტორპედოს"

თაგან გუნდს ლომაია და მჟავანაძე  
აკლია. დანარჩენები კი საქართვე-  
ლოს ჩემპიონატში მოასპარეზე  
კლუბების წევრები არიან, რომელ-  
თაც გუშინ თამაშები ჰქონდათ და  
ნაკრებში მათი დაგვიანებაც ამის  
ბრალია. სხვათა შორის, ჟირესი და  
მისი თანაშემწე გურული გუშინ  
"ლოკომოტივი"- "ტორპედოს"  
მატჩის დაესწრენ და პრესკონფე-  
რენციაზე პირდაპირ "ლოკომოტი-  
ვის" სტადიონზე მოვიდნენ. სა-  
გულისხმოა, რომ უურნალისტებთ-  
ან შეხვედრაზე ისინი უფრო მაღე  
მოვიდნენ, ვიდრე თავად უურნა-  
ლისტები, რომლებიც ასევე "ლო-  
კომოტივი"- "ტორპედოს" მატჩის  
ესწრებოდნენ.

---

LAWRENCE BERKELEY NATIONAL LABORATORY

უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე ერის მატჩში მიუწვდის "ბაიერნ-ამსტერდამის "აიაქსს" 4:0 მოუ-ეს გამარჯვება მარტო "ბაიერნ-დაბრუნებად კი არა, ამ გუნდის ერ ახალი, ლამაზი, შემტევი ფერთის ჩენენბითაც აღინიშნა.

ლი კლუბის პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ დაასრულა: "ჩვენ არაჩვეულებრივად ვითამაშეთ და ღირსულად გავიმარჯვეთ". "არაჩვეულებრივად კი არა, ჩვენ ბრნივნალედ ვითამაშეთ", - შეუსწორა ფელიქს მაგატმა. რონ-ალდ კუმბს და ფელიქს მაგატს უნდა დავუფასოთ განეული შრომა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მატრის შემდეგ "ბაიერნის" კულუარებში გაჩნდა ისეთი ეპი-თეტები, როგორიცაა: "შემტევი",

"ლამაზი", "გახსნილი ფეხბურთი". 2000-2001 წლის სეზონში შტეფან ეფენდერგმა და იენს იერემისამა დიდი წელილი შეიტანეს "ბაიერნის" გაჩერებით მიერთა, თუმცა, გერმანელებმა ჩემპიონთა ლიგა მხოლოდ იმიტომ მოიგეს, რომ მათ გაუვალი დაცვა ჰქონდათ. იმ წელს მიუნხენელები არ თამაშობდნენ შემტევ ფეხბურთს. "აიაქსთან" ჩატარებული მატჩი რომ მაკავაის ჰეთ-თრიქით აღინიშნა, თუმცა ამ

თი რამ, რაც მიუნხენელთა ფეხს  
ბურთში დიდი ხანია არავის შეუმ-  
ჩნევია: "ბაიერნმა" დაივიწყა ან-  
ტიფეხბურთი. მიხალ ბალაკი და  
ზე რობერტო არა მარტო სასარ-  
გებლოდ, არამედ ლამაზადაც თა-  
მაშობდნენ. ამას დაუმატეთ ისიც,  
რომ რომ მაკაიანი თავისი სამი გო-  
ლით მატჩის გარკვეული ხიბლი  
შემომატა. "ამ მატჩმა თავდაჯერე-  
ბა შეგვმატა, - აცხადებს ბალაკი, -  
როგორც იქნა, დავამტკიცეთ,  
რომ გრანდების წინააღმდეგაც

შარშანდელ სეზონში ჰოლანდიელმა მხოლოდ 12 გოლი გაიტანა, აქედან 10 - ევროთასებზე. მაგრამ, როგორც ხედავთ, რომ მაკაიმ გოლების გატანა დაიწყო, თანაც, ისეთ დროს, როდესაც "ბაიერნს" ეს ყველაზე მეტად სჭირდებოდა. "მისი ყოველი დარტყმა გოლით მთავრდება, - ამბობს ბალაკი, - მე კი მგონია, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ კარგის მომტანია".  
მიუნხენელთა წარმატებას სპეციალისტები ბევრი მიზეზით ხსნიან, თუმცა არის ერთი, ვფიქრობ, მთავარი ფაქტორი: გუნდში ახალი მწვრთნელი ფელიქს მაგარია, რომელიც "ბაიერნში" "მტუდტგარტიდან" მივიდა. მაგარიცნობილი იყო, როგორც კრიზისში მყოფი გუნდების გადამრჩეველი მწვრთნელი და, ბევრი რომ არ ვიღაპარაკოთ, მან თავისი საქმის შესრულება დაიწყო. მაგარიცის მის-ვლის შემდეგ "ბაიერნში" ბევრი რამ შეიიცვალა. ახალი იდეიბი, ვა-

ଠିକ୍ କାହାର ପାଇଁ ଏହା କାହାର ପାଇଁ ନାହିଁ ।

თუ უედუვად ის ავაზისია, მო-  
მელიც "აიაქსთან" მატჩის შემდეგ  
გაიცა "ბაიერნზე", მიუნხენელებს  
ბუნდესლიგაში თამაში მაინც უჭ-  
ირთ. "ჩვენთვის შემტევი ფეხბურ-  
თის თამაში ევროპულ გუნდებთან  
უფრო ადვილია, ვიდრე გერმანულ  
კლუბებთან, - ამბობს ბალაკი, -  
ბუნდესლიგის კლუბები ხომ ძირი-  
თადად დაცვაზე ანგობენ თამაშს".

ერთი შეხედვით, "აიაქსის" გა-  
ნაღვურებამ რეალურად დაგვინა-  
ხა, რა ძალას წარმოადგენს "ბაიე-  
რნი". "ჩვენ დავამტკიცეთ, რომ  
გუნდი კვლავ უბრუნდება იმ დონ-  
ეს, რამაც მას დიდება მოუტანა", -  
აცხადებს მაგატი. როგორც კი მი-  
უნხენელები "ფრაიბურგთან" და  
"არმინიასთან" ისეთივე თამაშს  
აჩვენებენ, როგორიც "აიაქსთან"  
აჩვენეს, მაშინ ყველა დაიჯერებს,  
რომ "ბაიერნი" კვლავ ალორძინდა.



# ნიკოლა გამოცემები

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

1957 წელს ტროპიკული აფრიკის პირველმა ქვეყანამ - განამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. პოლიტიკური გათავისუფლება დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახსრდათ, როგორც დიდი ძრიტანეთის იმპერიის ამ კოლონიასთვის, ისე აფრიკის იმ ათეულობით ქვეყნისთვის, რომლებმაც შემდგომში შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწიფოები. მათი პრეზიდენტებისა და პოლიტიკური ლიდერების მისასალმებელი სიტყვები და დეკლარაციები ისევე ჰგავდა ერთმანეთს, როგორც ახალ სახელმწიფოთა სამხედრო აღლუმები და სადღესასწაულო მანიფესტაციები.

"დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს საქმეებს და ჩვენს ბედს ჩვენ გარეშე წყვეტდნენ, - აცხადებდა განის პირველი პრეზიდენტი კვამე ნკრუმა, - ახლა დადგა დრო, რო-დესაც ჩვენ თვითონ ვართ ჩვენი ბედის პატრონნი." მალე პოლიტი-კური თავისუფლებით მოგვრილ ექსტაზს ყოველდღიური სოციალ-ურ-ეკონომიკური საზრუნვავები ჩანაცვლა. სულ უფრო პოპულა-რული გახდა ეკონომიკური დამო-უკიდებლობის, საკუთარი მრეწვე-ლობის შექმნის ლოზუნგები, რო-მელთა განხორციელების გარეშეც ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა ფი-ქციად ცხადდებოდა.

ეს მით უფრო ნათელი ხდებოდა და იმ ფონზე, რომ თითქოს დამოუკიდებლობის პოლიტიკური ატ-რიბუტები სახეზე იყო - მეტროპოლიური ადმინისტრაციების ეროვნულით შეცვლა; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უცხოეთის მიერ დამოუკიდებლობის ცნობა; სამხედრო ბაზებისა და ფორმირებების გათავისუფლებული ქვეყნებიდან გაყვანა, კონსტიტუციების მიღება და სხვ. - მაგრამ უცვლელი რჩებოდა ახალი სახელმწიფოების სავალალო მდგომარეობა; მოსახლეობის სიღარაკე, სოციალური დაუცველობა; უმუშევრობა, მეტროპოლიური უცხოური კაპიტალის ბატონობა და ა.შ.

ახალოგიურ თენისს იძეორებდნენ არა მარტო გვინეამდე აღრეთ უკვე გვიან გათავისუფლებული ქვეყნების ლიდერები, არამედ მათდამი კეთილგანყობილი ქვეყნების წარმომადგენლებიც.” არ არის საკმარისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. იგი უნდა შეივსოს ეკონომიკური დამოუკიდებლობას, ერთობით ურჩევდა განელებს ერთი გერმანელი პოლიტიკური მოღვაწე.

მესამე სამყაროს მესვეურთა  
ეს და სხვა ბანალობად ქცეული გა-  
ნცხადებები თითქმის არაფრთ  
განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც  
1894 წელს წერდა და ასაბუთებდა  
ნიკო ნიკოლაძე: "იმ ქვეყნის ბედში  
არავითარი ცვლილება არ მოხდე-  
ბა თვალსაჩინი, ვერც გონიერივი,  
არც საზოგადო, არც პოლიტიკური  
მხრივ, სანამ ის, მრეწველობის სა-  
შუალებით, ეკონომიკურ მოწინასა-  
გან არ დაისხის თავს უცხოეთის  
ხელიდან." ამ სიტყვების დაწერიდ-  
ან ერთი საუკუნის შემდეგ, ნიკო  
ნიკოლაძის სამშობლოში შეიქმნა  
პოლიტიკური ორგანიზაცია "მრე-  
წველობა გადაარჩენს საქართველ-  
ოს", რაც იმას ნიშავდა, რომ მიუ-  
ხედავად განვლილი რევოლუციე-  
ბისა, ფორმაციების ცვლისა, გა-  
დატრიალებებისა, თაობათა მიერ  
გაღებული უზარმაზარი სისხლისა  
და ენერგიისა, მრეწველობა-ეკო-  
ნომიკისა განვითარების დონე ისე-  
თივე ემბრიონალურ მდგომარეო-  
ბაში დარჩა ჩვენში, როგორც 1894

მელს იმყოფებოდა.  
მესამე სამყაროს ახალგათავი-  
სუფლებული ქვეყნები ორი მოდე-  
ლის პირობებში ცდილობდნენ ერ-  
ოვნული ეკონომიკის ორგანიზებ-  
ას. უმრავლესობა დასავლური ტი-  
პის ეკონომიკის შექმნას დასავლე-  
თისავე დახმარებით ცდილობდა.  
ქვეყნების გარკვეულმა ჯგუფმა  
სოციალიზმის მოდელირება სცა-  
და. უმრავლეს შემთხვევაში, ორი-  
ვე ცდა მარცხით დასრულდა. გა-  
სული საუკუნის 90-იან წლებში  
აფრიკის კონტინენტზე, ორიოდე  
გამონაკლისის გარდა, ყველა ქვეყ-  
ნის მეურნეობა მონოკულტურულ  
ხასიათს ატარებდა, ხოლო ხედლე-  
ულისა და წიაღისეულის ამოღება-  
გატანას უცხოური ფირმები აწარ-  
მოაზონინ.

ცხრილი 1		
1. ბოსნია-პერცოგოვინა-450	21. ტაჯიკეთი-930	41. ლაოსი-1290
2. მოზამბიკი-500	22. ანგოლა-940	42. გამბია-1340
3. ეთიოპია-510	23. ჩრდილოეთ კორეა-950	43. რესპუბლიკა კონგო 1380
4. ბურუნდი-590	24. კირიბატი-980	44. თურქმენეთი-1410
5. სომალი-600	25. ბურკინა-ფასო-990	45. კომორის კ-ბი-1500
6. რუანდა-630	26. ლიბერია-1000	46. აზერბაიჯანი-1520
7. სიერე-ლეონე-630	27. ტუვალუ-1000	47. ცენტრ. აფრიკა-1530
8. ერაყი-700	28. ერიტრეა-1010	48. დას. სამოა-1570
9. მალავი-700	29. უგანდა-1050	49. პაკისტანი-1590
10. პალაუ-700	30. ბანგლადეში-1050	50. კოტიდივუარი-1640
11. იემენი-720	31. ჩადი-1070	51. ინდოეთი-1650
12. მალი-740	32. ჯიბუტი-1070	52. ვიეტნამი-1670
13. ტანზანია-790	33. გვინეა-ბისაუ-1070	53. სენეგალი-1670
14. კონგო-790	34. ნეპალი-1090	54. მარშალის კ-ბი-1730
15. სანტომე და პრინსიპი-860	35. კენია-1110	55. ტოგო-1790
16. ნიგერია-880	36. პაიტი-1150	56. განა-1790
17. სუდანი-890	37. ბუტანი-1180	57. გვინეა-1850
18. ზამბია-890	38. კამბოჯა-1190	58. მავრიტანია-1870
19. ნიგერი-900	39. ბენინი-1260	59. მიკრონეზია-1910
20. მადაგასკარი-910	40. მიანმა-1280	60. კამერუნი-1980

ଓৰো ২

- |                            |                            |                                     |
|----------------------------|----------------------------|-------------------------------------|
| 1. ყირგიზეთი-2040          | 19. სირია-2990             | 37. ფიჯი-4040                       |
| 2. უკრაინა-2170            | 20. ვანუატუ-3020           | 38. მონღოლეთი-4070                  |
| 3. ჰონდურასი-2200          | 21. მაროკო-3130            | 39. მაკედონია-4110                  |
| 4. სომხეთი-2280            | 22. მალდივი-3230           | 40. ბელიზი-4110                     |
| 5. ზიმბაბვე-2280           | 23. ყაზახეთი-3240          | 41. რუსეთი-4190                     |
| 6. მოლდოვა-2350            | 24. ბოლივია-3280           | 42. რუმინეთი-4290                   |
| 7. ტონგა-2350              | 25. იორდანია-3430          | 43. სენტ-ვინსენტი და გრენადინი-4320 |
| 8. ნიკარაგუა-2370          | 26. იამაკა-3470            | 44. პერუ-4390                       |
| 9. პაპუა-ახალი გვინეა-2390 | 27. ინდონეზია-3490         | 45. გრენადა-4450                    |
| 10. უზბეკეთი-2450          | 28. კუბა-3530              | 46. დომინიკი-4470                   |
| 11. შრი ლანკა-2460         | 29. სვაზილენდი-3560        | 47. ლიტვა-4510                      |
| 12. ლესოტო-2480            | 30. ჩინეთი-3570            | 48. დომინიკის რესპუბლიკა-4540       |
| 13. ალბანეთი-2600          | 31. ეკვატორული გვინეა-3600 | 49. ალჟირი-4600                     |
| 14. სოლომონის კ-პი-2630    | 32. ლატვია-3650            | 50. ეკვადორი-4820                   |
| 15. სურინამი-2740          | 33. ფილიპინები-3670        | 51. ბელორუსი-4840                   |
| 16. გაიანა-2890            | 34. გვატემალა-3840         | 52. ტუნისი-4980                     |
| 17. ეგვიპტე-2940           | 35. ბულგარეთი-3860         | 53. ხორვატია-4980                   |
| 18. კაბო-ვერდე-2980        | 36. პარაგვაი-3870          |                                     |

ଓଡ଼ିଆ ୩

- |                               |                             |                          |
|-------------------------------|-----------------------------|--------------------------|
| 1. ცენტ-ლუისი-7650            | 14. ცენტ-კორი და ცენტ-7730  | 27. სამხედრო-11500       |
| 2. ნამიბია-5440               | 15. სეიშელის კ-ბი-7900      | 28. ნაურუ-11800          |
| 3. ლიბანი-5470                | 16. მექსიკა-8120            | 29. ჩილე-12080           |
| 4. ლიბია-5470                 | 17. ბოტსვანა-8200           | 30. ტაივანი-12340        |
| 5. ირანი-5530                 | 18. ურუგვაი-8460            | 31. სამხრეთ კორეა-13500  |
| 6. ბრაზილია-6240              | 19. ვენესუელა-8530          | 32. ბაგამის კ-ბი-14830   |
| 7. ტრინიდადი და ტობაგო-6410   | 20. ომანი-8690              | 33. ახალი ზელანდია-16600 |
| 8. კოსტა-რიკა-6410            | 21. ანტიგუა და ბარბუდა-8720 | 34. ისრაელი+16980        |
| 9. თურქეთი-6430               | 22. არგენტინა-9950          | 35. კატარი-20100         |
| 10. ტაილანდი-6590             | 23. საუდის არაბეთი+10870    | 36. ავსტრალია-20170      |
| 11. კოლუმბია-6760             | 24. ბარბადოსი-10580         | 37. კუვეიტი-24470        |
| 12. პანამა-7070               | 25. მალაიზია-10920          | 38. სინგაპური-29000      |
| 13. სამხრ. აფრიკის რესპ.-7490 | 26. კვიპროსი-11100          |                          |

ଓৰোଳ 4

- |                     |                         |                       |
|---------------------|-------------------------|-----------------------|
| 1.ესტონეთი-5010     | 13.ანდორრა-16630        | 25.ბელგია-22370       |
| 2.უკრაინა-5880      | 14.ირლანდია-16740       | 26.ისლანდია-22500     |
| 3.პოლონეთი-6380     | 15.ფინეთი-18980         | 27.დანია-22740        |
| 4.უნგრეთი-7000      | 16.შვეცია-19030         | 28.იაპონია-23400      |
| 5.სლოვაკეთი-7850    | 17.იტალია-20060         | 29.ბორვეგია-23940     |
| 6.კვიპროსი-11100    | 18.სან-მარინო-20100     | 30.ლიხტენშტეინი-25100 |
| 7.ჩეხეთი-11380      | 19.დიდი ბრიტანეთი-20580 | 31.გონია-21170        |
| 8.სლოვენია-12520    | 20.გერმანია-21300       | 32.შვეიცარია-26380    |
| 9.საბერძნეთი-13080  | 21.ნიდერლანდები-21340   | 33.აშშ-28740          |
| 10.მალტა-13200      | 22.კანადა-21860         | 34.კოსტარიკა-34460    |
| 11.პორტუგალია-13840 | 23.საფრანგეთი-21860     |                       |
| 12.იანკონია-15720   | 24.ავსტრია-21980        |                       |

მოსახლეზე 450-დან 2 000-მდე  
ამერიკულ დოლარს არ აღემატეთ  
ბა, აბსოლუტურ უმრავლესობას  
მესამე სამყაროს ქვეყნები შეად-  
გენენ (იხ. ცხრილი 1.).

შედარებით მეტი მაჩვენებლების  
ჯგუფში სჭარბობენ სამხრეთ  
და ცენტრალური ამერიკის ქვეყა-  
ნები, რომელთა მთლიანი ეროვნუ-  
ლი პროდუქტი ერთ სულ მოსახ-  
ლეზე 2000-დან 5000 ამერიკულ  
დოლარამდეა.

თავდაპირველად ეს ქვეყნები  
კლასიკურ აგრარულ სახელმწი-  
ფოებს წარმოადგენდნენ. მთლიან-

ուս Հայոց մատուցությունը կազմում է պահանջման մեջ առաջարկված գումարի շուրջ 10% և այս գումարը կազմում է Հայաստանի Հանրապետության 2017 թվականի պետական բյուջեի 10% մասը:

ბი მოუტანა რიგ ლათინოამერიკა  
ულ ქვეყნებს. 40-50-იანი წლებისა-  
თვის რეგიონის ბევრი ქვეყანა აგ-  
რაულ-ინდუსტრიულად გარდაი-  
ქმნა. მაგრამ ინდუსტრიალიზაცი-  
ის პროცესში უკუმენებელი გამოი-  
ღო. მან ისე გამოიყიტა რეგიონის  
ქვეყნების შინაგანი რესურსები  
რომ მრეწველობის შემდგომი გან-  
ვითარება საკუთარი პოტენციით  
შეუძლებელი აღმოჩნდა.

ლობრივ ევროპულ-იაპონურ კაპიტალს და, მეორე მხრივ, ერთანანე თთან ეკონომიკური თანამშრომლობა გადაწყვიტეს. ამ მიზანს ემსახურებოდა 1960 წელს შექმნილ თავისუფალი ვაჭრობის ზონა, რომელსაც ლათინური ამერიკის ერთიანი ბაზარი უნდა შეექმნა. მეორე უფრო ვიწრო რეგიონული ეკონომიკური გაერთიანება შეიქმნა "ანდების პაქტის" სახით და ა.შ. მიუხედავად მსგავსი ღონისძიებებისა, როგორც ლათინური ამერიკის, ისე აზია-აფრიკის ქვეყნების მეორე დიდმა ჯგუფმა, მაინც

და, რაც მთავარია, "სიღარიბის მანერების" (იხ. ცხრილი 2.).

ပြောဆုံးခဲ့သွားရတယ်။ ဒုက္ခနိုင်ရှင်များအတွက်  
ကျော်လုပ်မှုများအတွက် အမြတ်မြတ်များဖြစ်တော်း  
ပေါ်လေ့ရှိတယ်။ ဒုက္ခနိုင်များအတွက် အမြတ်မြတ်များ  
အမြတ်မြတ်များဖြစ်တော်းပေါ်လေ့ရှိတယ်။ ဒုက္ခနိုင်များ  
အမြတ်မြတ်များအတွက် အမြတ်မြတ်များဖြစ်တော်းပေါ်လေ့ရှိတယ်။

ქვეყნის სოულად განაცუ-  
თობულ ჯგუფს ქმნიან მესამე სა-  
მყაროს ის სახელმწიფოები, რომ-  
ლებმაც განვითარებისა და კეთი-  
ლდღეობის მაღალი დონით დასავ-  
ლეთის ბევრი ქვეყანა უკან ჩამოი-  
ტოვეს. ერთ შემთხვევაში ეს მოხდა  
ზოგი ქვეყნის ბუნებრივი რესურ-  
სების განსაკუთრებული სიმდიდრ-  
ის წყალობით (მაგ., არაბული ნავ-  
თობი), მეორე შემთხვევაში კი კე-  
თილდღეობის მთავარი წყარო რიგ  
სახელმწიფოთა მთავრობების გო-  
ნივრული პოლიტიკა გახლდათ (იხ.  
(ცხრილი 3.).

რა თქმა უნდა, მთლიანი ეროვ-

ნული პროდუქტის შესაბამისობაში ერთ სულ მოსახლეზე შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და გვაფიქ-რებინოს, რომ პოტსავანაში ან ბა-ჰა-ჰამის კუნძულებზე მეპ-ის მაღალი მაჩვენებლის სიკეთე ამ ქვეყნების მთელ მოსახლეობაზე ვრცელდე-ბა. პირიქით, მესამე სამყაროს ქვე-ყნების დიდი უმრავლესობის მათ-ვარი უძედურება მოსახლეობის პოლარიზაციაშია. ღარიბი ეგვიპ-ტელის საშუალო წლიური შემოსა-ვალი 600 დოლარს არ აღემატება, ხოლო ეს მონაცემი - მალიში 140 დოლარს შეადგენს. კიდევ უფრო

უარესი რეალობაა ბანგლადეშში და ა. შ. სიმპტომატურია კოსტრიკის ყოფილი პრეზიდენტის როდრიგო ოდიოს 7-8 წლის წინანდელი განცხადება: "ცენტრალური ამერიკის პრობლემათა 90 პროცენტი ძირითადად ეკონომიკური ხასიათისაა. მოსახლეობას სკერა თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალებისა, მაგრამ იგი შეიძლება სასონარეკვეთილებამდე მიიყვანონ." იმ მონაცემების მიხედვით, რომელიც 2002 წელს გამოცემულ სრულ უნივერსალურ ინფორმაციულ ცნობარში - "მსოფლიოს ქვეყნებში" დაფიქსირებული, საქართველოში მთლიანი ეროვნული პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1980 ამერიკულ დოლარს შეადგენს. ამ მონაცემის მიხედვით ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს სამოცი უდარიბებესი ქვეყნის რიცხვშია და კამერუნს უმშვენებს გვერდს. მართალია, საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეს მიეკუთვნება, მაგრამ თავისი რეალური სოციალურ-ეკონომიკური მდგრომარეობით მესამე სამყაროს ტიპური წარმომადგენელია, ისევე როგორც ევროპული ბოსნია-ჰერცოგოვინა ან ევრაზიული დსტ-ს განვითარებადი ქვეყნები, რუსეთის ჩათვლით.

ოოგონოც აღვითისეთ, ძესაძე  
სამყაროს ასეული ქვეყნიდან მხო-  
ლოდ უმცირესმა ნანილმა შეძლო  
სიღარიბისაგან თავის დაღწევა. ეს  
უფრო გამონაკლისად შეიძლება  
ჩაითვალოს, ვიდრე წესად, რჩება  
უამრავი ქვეყანა, რომლებსაც მი-  
უხედავად იმისა, რომ დასავლური  
სახელმწიფო ორები, საერთაშორისო  
საფინანსო და ჰუმანიტარული  
ორგანიზაციები ეხმარებიან, კრე-  
დიტებს აძლევენ, ინვესტიციებს  
ახორციელებენ, მაინც არაფერი  
შველით - იქ ისევ სიღარავე, შიში-  
ლი, სოციალური დაპირისპირება  
და უმუშევრობა მძვინვარებს.

რამდენიმე დღისა წინ საქართველოს სახელმწიფო დერბის შესახებ პარლამენტარებს შორის ცხარე დებატები მიმდინარეობდა. იმას რა მათქმევინებს, ან მაფიქრებინებს, დერბი, დროშა, ჰიმნი და ა.შ. სახელმწიფოსათვის ნაკლებმნიშვნელოვანია-მეთქი. მაგრამ ბატონიშვილი, რაც შეიძლება ჩქარა ანებეთ თავი ატრიბუტებს, სიმბოლოებს, ძეგლებს, ობელისკებს, იუბილეებს და ათასგარ მისტიფიკაციას. ნებისმიერი სახელმწიფოს ვარგისობის უპირველეს კრიტერიუმს - მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხს მიხედეთ და უშველეთ, თუ რაიმეს შველა შეგიძლიათ.



